



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011783150189621

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

147304

05 / აპრილი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 156324/17; **თარიღი:** 31.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: ომარ ბულაშვილის (პირადი ნომერი 12001065585) წარმომადგენელი თომა ბულაშვილი (პირადი ნომერი 12001065417).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“) / ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახური.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები: რეგისტრაციის შესახებ № 882013639793-05 (თარიღი: 14.01.2014 წ.), № 882014110510-03 (თარიღი: 07.03.2014 წ.), № 882017732531-03 (თარიღი: 15.08.2017 წ.), № 882019609400-04 (თარიღი: 01.08.2019 წ.) და №882017752777-03 (თარიღი: 22.08.2017 წ.) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა: რეგისტრაციის შესახებ № 882013639793-05 (თარიღი: 14.01.2014 წ.), № 882014110510-03 (თარიღი: 07.03.2014 წ.), № 882017732531-03 (თარიღი: 15.08.2017 წ.), №882019609400-04 (თარიღი: 01.08.2019 წ.) და №882017752777-03 (თარიღი: 22.08.2017 წ.) გადაწყვეტილებების საფუძველზე რეგისტრირებული უძრავი ნივთების საკადასტრო მონაცემების გაუქმება.

უძრავი ნივთების მისამართი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი სნო.

ადმინისტრაციულ საჩივარში დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების გაუქმების გარეშე (საკადასტრო მონაცემების გაუქმების ნაწილში) ვერ განხორციელდება რეგისტრირებული უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი: 74.02.01.092) ცვლილების რეგისტრაცია.

რეგისტრაციის შესახებ № 882013639793-05 (თარიღი: 14.01.2014 წ.) გადაწყვეტილებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ სნოში მდებარე 2020 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 74.02.11.104) დარეგისტრირდა როზა ტაკაევას (პირადი ნომერი 44001003309) საკუთრების უფლება. უფლების რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს სამკვიდრო მონძობა №130810687 (დამონძმების თარიღი: 08.08.2013 წელი, გაცემული ნოტარიუს მანანა მარსაგიშვილის მიერ). სამოქალაქო რეესტრის მონაცემების თანახმად, როზა ტაკაევა (პირადი ნომერი 44001003309) გარდაცვლილია.

რეგისტრაციის შესახებ № 882014110510-03 (თარიღი: 07.03.2014 წ.) გადაწყვეტილებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ სნოში მდებარე 2020 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 74.02.11.104) დარეგისტრირდა გიორგი ბულაშვილის (პირადი ნომერი 44001000218) საკუთრების უფლება. უფლების რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება (გაფორმების თარიღი: 05.03.2014 წელი, დამონძებული საჯარო რეესტრის მიერ).

რეგისტრაციის შესახებ № 882017732531-03 (თარიღი: 15.08.2017 წ.) გადაწყვეტილებით, 74.02.11.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთი დაიყო ორ უძრავ ნივთად (საკადასტრო კოდები: 74.02.11.351 და 74.02.11.352) და დარეგისტრირდა გიორგი ბულაშვილის (პირადი ნომერი 44001000218) საკუთრების უფლება. უფლების რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება (გაფორმების თარიღი: 05.03.2014 წელი, დამონძებული საჯარო რეესტრის მიერ).

რეგისტრაციის შესახებ № 882019609400-04 (თარიღი: 01.08.2019 წ.) გადაწყვეტილებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ სნოში მდებარე 1220 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 74.02.11.351) დარეგისტრირდა ნანა ბულაშვილის (პირადი ნომერი 44001005082) საკუთრების უფლება. უფლების რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულება (გაფორმების თარიღი: 29.07.2019 წელი, დამონძებული საჯარო რეესტრის მიერ) და ჩუქების ხელშეკრულება (გაფორმების თარიღი: 30.07.2019 წელი, დამონძებული საჯარო რეესტრის მიერ).

რეგისტრაციის შესახებ № 882017752777-03 (თარიღი: 22.08.2017 წ.) გადაწყვეტილებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ სნოში მდებარე 800 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 74.02.11.352) დარეგისტრირდა ლია მიქაძის (პირადი ნომერი 01019041502) საკუთრების უფლება. უფლების რეგისტრაციის

საფუძველს წარმოადგენს უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება (გაფორმების თარიღი: 18.08.2017 წელი, დამოწმებული საჯარო რეესტრის მიერ).

№ 156324/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემომხმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამატარებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ომარ ბულაშვილის წარმომადგენლის თომა ბულაშვილის № 156324/17 (31.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;
2. ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე შეჩერდეს 74.02.11.351 და 74.02.11.352 საკადასტრო კოდექსით რეგისტრირებული უძრავი ნივთების მონაცემების მოქმედება. რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერების პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამონაწერის მომზადება, აგრეთვე უფლების (გარდა საგადასახადო გირავნობისა/იპოთეკისა), უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათი ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია;
3. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ იქნენ გიორგი ბულაშვილი (პირადი ნომერი 44001000218), ნანა ბულაშვილი (პირადი ნომერი 44001005082) და ლია მიქაძე (პირადი ნომერი 01019041502);
4. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოთ ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურსა და დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ პირებს;
5. დაინტერესებულ მხარეს განემართოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით;
6. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართები: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
7. წინამდებარე გადაწყვეტილება ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
8. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



დავით დევიძე